

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #020/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ნათია მაჭარაშვილი

შეკითხვა

ადვოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას შემდეგი შეკითხვით - რამდენად ეთიკური იქნებოდა იურიდიული კლინიკის ადვოკატის მიერ კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევა იმ საქმეში, რომელშიც ჩართულია მისი კოლეგა-ადვოკატი, რომელიც იცავს ამხანაგობის სხვა წევრების ინტერესებს და ერთად მუშაობენ ამხანაგობის საერთო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად? შეუძლია თუ არა იურიდიული კლინიკის ადვოკატს განახორციელოს რაიმე ქმედება მეორე ადვოკატის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის მის მიერ კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევაზე?

ანალიზი

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1 (ა, ბ)).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობისგანხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 4.1).

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

იურიდიული კლინიკისთვის კონსულტაციის გაცემა ადვოკატის მიერ ექვემდებარება პროფესიული ეთიკის ნორმებით რეგულირებას. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს ადვოკატმა სად გასცა კონსულტაცია, ოფისში თუ მის ფარგლებს გარეთ. მთავარი საკითხია, წარმოიშვა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. თუ წარმოიშვა ამგვარი ურთიერთობა, ადვოკატი, ეთიკის კოდექსის 4.1 მუხლის შესაბამისად, ვალდებულია „დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს“. ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc3c6da266.pdf/30%20January%202014%20020.13.pdf>



ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა პირისათვის კლიენტის თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს მიმართა კონკრეტულმა კლიენტმა დაცვის მიზნით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. იურიდიული კლინიკის ადვოკატმა გასცა კონსულტაცია კლიენტზე, ეს ნიშნავს, რომ დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და წარმოიშვა თანამდევნი ეთიკური ვალდებულებებიც. ადვოკატს შეუძლია შეაფასოს მეორე ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები, რაც უნდა მოხდეს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.

დასკვნა

კლინიკის ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება მეორე ადვოკატის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა კლიენტმა მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად. ასევე, ადვოკატს შეუძლია შეაფასოს სხვა პირის მიერ წარმომადგენლობის პროცესში განხორციელებული მოქმედებები ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.